საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება №32

2022 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

„მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 ივლისის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.
„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 ივლისის №5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საჩივრის ფორმა“ ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მდივანი **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**